

მბინი ხართ თუ მოხვარანი?

„ხედავთ, ვითარის კანდიერებით, შეკრებების ჩვენზედ „უსჯულობა“.

ნ. ბ.

V

(გაგრძელება).

ენახოთ ეხლა თბილისის გუბერნია. — ეს არის, სდუ-
ძველს რომ აძლევს ჩვენ შინაურ და გარეშე მტერთ, რომ
კბილი მოგვტეხონ და ხელი აგვადებონ მთელ ჩვენ მომა-
ვალზედ. მაგრამ აქაც არც ისეა საქმე, მათ რომ ჰგონიათ.
იმ შეუდარებელი სტატისტიკით თბილისის გუბერნიაში სულ
966 808 მცხოვრებია. ქართველი ყოფილა მათ შორის
455,237, ე. ი. ნახევარზედ ნაკლები. მაგრამ ჯერ ერთი, —
აქ დიდი თვალთმაქცობაა ჩადენილი. ახალციხის მაზრაში,
მაგალითად, ნაჩვენებია მხოლოდ 8,635 ქართველი. სომხო-
ბა, რუსობა და სხვანი ნაკლებად არიან. ნაჩვენებია 32,563
თათარი და 7752 თურქი. ჩვენ კი ვიცით, რომ იქ მხოლოდ
კოტაოდენი თურქია, რამოდენიმე სოფელი ქურთებისა და
თარაქმებისა, და აუარებელი ნაწილი მუსულმანთა, თითქმის
მთელი მასა, — გა მ უ ს უ ლ მ ა ნ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ
ო ბ ა ა; იგინი ძველი მესხები არიან და მათ სისხლში თა-
თარის არაფერია, არც მათ გვარებში, და თუმცა ქართული
ენა იქ შემოკლდა, მაგრამ ბევრგან კიდევაა დარჩენილი. და გა-
ნა ჩვენი ვალი არ უნდა იყოს ჩვენი ძმები ჩვენთანვე ვიყო-
ლიოთ, დავუბრუნოთ თავიათი სამშობლო ენა და ქართველი
ისევე გავაქართველოთ? — ამას რომელი სამართლიანი ადამიანი
დაგვიშლის? ვარდა ამისა ახალციხის მაზრაში მრავალია ქარ-
თველი კათოლიკე, რომლებიც სომხად ჩაწერეს, მისცეს რა
სომხური ტიპიკონი, ვინ იცის რა მოსაზრებით! ასე რომ
სულ მინიმუმში რომ ვიანგარიშოთ 32,563 თათრიდან და
7752 თურქიდან 30,000 ქართველი მაინც იქნება. საეჭვოდ
მიგვაჩნია აგრეთვე, ვითომც ქართველ კათოლიკეთა რიცხვი
იქ 2852 მეტი არ იყოს, როგორც ის არის აბსურდი, თით-
ქმის იქ მხოლოდ 46 მუსულმანი ქართველი იყოს. ამ ცნო-
ბებს ჩვენ ზეპირად არ ვამბობთ. ჩვენ, სწორ ციფრთა უქო-
ნლობის გამო, დავეკითხეთ მკოდნე პირთ, ვისაც დიდი ხნით
უტხოვრიათ ახალციხის მაზრაში და იციან მისი წარსულიცა
და აწმყოც. — ასე რომ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვიანგარი-
შოთ სულ უკანასკნელი 38,635 ქართველი ახალციხის მა-
ზრაში, ეს კი დიდი რიცხვია შედარებით მთელ მცხოვრებ-
თა რიცხვთან, რომელიც უდრის 53,480-ს. ხოლო თუ მა-
ინც და მაინც ენაზედ გამოგვედავებოთ, — აქაო და ახალციხის
ქართველთა შორის ქართული ბევრმა აღარ იცისო, — ამაზედ
ნუ წავა საქმე, თორემ ჩვენ ტერიტორიაზედ მგონი ერთი
სომეხიც არ გადარჩეს გაუქართველებელი მთელს იმერეთში,
ქართლ-კახეთში, თბილისში და ბევრგან სხვაგან. აგრეთვე
ოსობაც ქართველებად ჩაიწერება. ამაზედ მაშასადამე ჩვენც
„სუს“ ღ სხვებმაც. მივიწყოთ ჩვენ ჩვენი ხვედრი სწორითა
საწყაულითა, ჩვენი ერის ელემენტებსაც ჩვენ ნურვინ წაგვე-
დავება, და არც ჩვენ არავის წავედავებით დაფერს. — მაგრამ
მიგყვეთ.


გორის მაზრაში ყოფილა 117,972 ქართველი შედა-
რებით 180,822 მცხოვრებთან, ე. ი. დიდი უმრავლესობა,
(თუმცა რასაკვირველია სტატისტიკა აქაც სტყუის). დუშე-
თის მაზრაში ქართველი — 48,192, სულ 65,153, სიღნაღის

მაზრაში ქართველი — 78,687, სულ — 93,319, თელავის
რაში ქართველი — 47,608, სულ 52,838, თბილისის მაზ-
რაში ქართველი — 39,289, სულ 75,042 — ნახევარზედ მეტი,
ნეთის მაზრაში — ქართველი 30,363, სულ — 34,138. როგ-
ორ ხედავთ ამ მაზრებში — ყველგან ქართველობა სჭარბობს
დათ ყველა სხვა ერებს ერთად რომ ავიღოთ, და რასა-
ც ველია თვითოეულს ცალკე. ერთი სიტყვით — მასა ქარ-
თელია ამ მაზრების ტერიტორიაზედ მთლად ერთიანად
ისეთი ხარისხის მთლიანობა აქვს ამ მასის ქართველ ერ-
ებებს, რომ არც ერთ სხვა ქვეყანას იგი ამით შეიძლებ-
ჩამოუფარდეს. ამას ვერც ზემოხსენებული ყალბი სტატ-
იკა უარ-წყაფს. ალბად ძლიერ შერცხვენია.

დარჩა მხოლოდ ორი მაზრა, სადაც ქართველობა
კლებად არის, — დარჩენ ახალქალაქისა და ბორჩლოს
რები. პირველშია სულ 67,269 მცხოვრები, ქართველ
მართლმადიდებელია 6,322, მაჰმადიანი 5,000-მდე და
ლიკე 1,880-მდე. *) სულ — 13,122. მეორეშია სულ 123
მცხოვრები, ქართველი კი მხოლოდ 7,863 ყველა სა-
ნოებისა, აი თურმე ამ ორ მაზრაში ყოფილა საქმე, ბ-
რომ გაიძახის, — თბილისის გუბერნიაში უმცირესობა ხა-
თუ მაინცა და მაინც ამ ორი მაზრის გულისთვის გვეყ-
ვით — მიირთვიოთ ეს ორი მაზრა, ჩვენ არც სხვისი გაგლეჯა-
და და არც „არეგ-დარეული“ ხალხის პატრონობა. ჩან-
ბერით ეს ორი მაზრა, მაგრამ ისიც იკითხე-
ბო რ ჩა ლ ე ჲ ე ბ ი და ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ე ჲ
ი რ ჩ ე ვ ე ნ და ნ ა რ ჩ ე ნ ი „ზ ა კ ა ვ კ ა ზ ი ს“
უ ლ - დ ა რ ე უ ლ“ ც ხ ვ რ ე ბ ა შ ი მ ო ნ ა წ ი ლ
ბ ი ს მ ი დ ე ბ ა ს, თუ ჩვენ ს ა ვ ტ ო ნ ო მ ი
შ ე მ ო ვ ლ ე ნ, ი ც ი ა ნ რ ა ძ ლ ი ე რ კ ა რ
რო მ მ ა შ ი ნ მ ა თ ე ს ო რ ე ვ - დ ა რ ე ვ ა ც“
დ ე ბ ა თ თ ა ვ ი დ ა ნ და მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი ე
ნ უ ლ ი ც ხ ვ რ ე ბ ა ც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ - ყ ო დ ი ლ
მ ნ ე ბ ა თ? ყოველივე შემთხვევაში ეს საკითხი პლ-
ციტით უნდა გადასწყდეს თვით დაინტერესებულ მც-
ბთაგან. და თუ ისურვებენ ჩვენთან ყოფნას, — მობრძან-
როგორც წინად არავინ დაგვიჩაგრაგს, ისე ეხლაც
დავჩაგრაგათ, — თუ არა და ღვრთმა მშვიდობის გზა მი-
ჩვენ კი ამ ორი მაზრის გულისთვის მთელი საქართ-
ბედ-იღბალს ვერ გადავსწყვეტთ „არეგ-დარევის“ სას-
ლოდ, როგორც ამას ბნი ა. სხადის.

რაც შეეხება ქალაქებს, ერთი ქალაქის, თბი-
მოქალაქეთა რიცხვი აჭარბებს ყველას. აქ და სხვაგანა-
სები ერთობ ბევრია ნაჩვენები, რადგანაც ჯარსა და
ნიკობასა სთვლიან. ზოგ ქალაქებში ქართველები სჭარ-
ზოგში სომხები, მაგრამ ამ უკანასკნელთა უმეტესი ნ-
ქართულად ლაპარაკობს, მრავალმა სომხური სულაც არ
ისინიც ჩვენთან იყვნენ საუუქნეთა განმავლობაში, მაგრ-
არავის დაუჩაგრაგს და პრივილეგიებსაც აძლევდენ.
შემთხვევაში ჩვენ ერთმანეთში ყოველთვის მოგვი-
მოქალაქობრივ ცხოვრებაში. ვარდა ამისა, რომელ ქ-
უარ-უყვია თავისი დამოუკიდებლობა იმ მიზეზით, რ-
მრავალი უცხოელი ჰყავს ქალაქებში, თვით სატახტო
ქებშიაც. მას შემტერბურგი აღარ უნდა იყოს რუსეთის სა-
ქალაქი, სტამბოლი ოსმალეთისა, ჩიკაგო ოჰაიოს შტ-
ვარშავა პოლონეთისა, მთლად ურიებით რომ არის

*) ეს ცნობებიც მკოდნე პირისაგან მივიღეთ.



რავალი სხვანი, სადაც ეროვნულ ელემენტზედ მეტიც სხვა ელემენტი მაშ ჩვენში თბილისი არასოდეს არ ყოფილიყო სატახტო ქალაქი, რადგანაც თბილისში ყველგან ყოველთვის ნაკლები იყო, და თუ ეს ასე იყო, ამა საუკუნეთა განმავლობაში დიდი უსამართლობა წყნებდა მთელი კაცობრიობისათვის,—ერები დაგვიჩაგ- მაგრამ თვით თბილისშიაც არა ვართ ისე ცოტა, როგორც გონიათ: ამავე ყალბი სტატისტიკით თბილისის 159,590 კაცებში რუსი (ჯარით, რასაკვირველია) ყოფილა 47,599, ანუ 47,133, ჭარბველი 42,206. დანარჩენი სხვა ერებია: პროპორცია მცხოვრებთა ქალაქებში ბევრგან არის. აქ, მაგალითად, ფრანგი მეტია თვით ქვეყნის მკვიდრ- ენაზედ თუ იტყვიან,—ქვეყნელებიცა და ფრანგებიც ყველადაც ლაპარაკობენო,—თბილისის სომხობამ ყველაზედ ქართული. არ შეიძლება ლაპარაკი არც ეკონომიურ ზედ. მაშინ ვარაუდა უფრო ურიათა ქალაქი გამოვა, ვი- ბოლოვნელთა!—არა,—ჩვენ სრული უფლება გვაქვს თბი- ჩვენ სატახტო ქალაქად აღვიაროთ და ამაში ვერავინ დაგვიმდურება,—ვერც სომეხი და ვერც სხვა ვინმე, ბ-ნი ვარა. იგი ჩვენი სატახტო ქალაქი იყო, ჩვენი უნდა და ჩვენივე დარჩება!

ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების გარდა, რომ არ ვსთქვით, ჩვენ მთლიანი ტერიტორია გვაქვს თბი- გუბერნიაში, სადაც ჩვენა ვსტარბობთ ბევრად. და ნუ წყვებთ, რომ ეს ტერიტორია ხმლით დავიცავით მრ- საუკუნეთა განმავლობაში. მეფე ერეკლემ მთელი თავისი სიძაბა შესწირა მის დაცვას თითქმის მთელი ერთი საუკუნე სხვა მემკვიდრეებმა ისე გადასცეს შემდეგ იგი რუსეთს. მთავრობამ კი, მის მაგივრად რომ ტრაქტატის ძალით ეს ქართველთათვის ეს ტერიტორია, იგი არიგა მთელ რუსეთს, მაგრამ როგორცა ვხედავთ, ჯერ კიდევ ვერ მოლო ისეთნაირად, რომ თავსუფლების უფლება არ გვოდეს.

ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ახალქალაქისა და ბორ- მაზრებში მუდამ ასახლებდნენ გერმანელებს 1815-20 წლებში; სომეხებს გრაფ პასკევიჩის წყალობით 1830 წლი- დაწყებული; 1840 წლ. დუხობორებს, ბერძენებს, სხვა სტატანტებსა, გოლიცინის დროს კიდევ რუსებსა.—და ბორჩო ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების წაგლე- მიწადინეს,—მთლად ქართლ-კახეთისა და შავი ზღვის რეგიონისა,—მაგრამ ვერას გახდენ! ეს ორი მაზრე კი მოგვ- ებს, განსაკუთრებით ჯავახეთი წარგვიტყვენეს. მიუხედა- ვისა მაინც დავგრჩა ეს მთლიანი ტერიტორია თბილი- გუბერნიის ორ მაზრას გარდა. იქა სცხოვრობს ქალაქებს სულ 554,807 სული, ამათში ქართველია 401,090, დიდი უმრავლესობა. ქალაქებიანა თუ ავიღეთ—იქ 765,512 (ახალქალაქიანად მოქალაქეთა რიცხვი თბ. რეგიონშია 216,145, უახალქალაქთ 210,705), ქართვე- ლთში 471,052, აგრეთვე დიდი უმრავლესობა. სულ მთლად თბილისის გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი—იქ 966,808 სული. ამათში ქართველია 492,037, მაინც უნდა მეტი. ქართველთა რიცხვი დაახლოვებით არის თბილისის გუბერნიაში.

თელავის მაზრაში	—	—	— 47,608
დუშეთისაში	—	—	— 44,106
თბილისისაში	—	—	— 32,289
თიანეთისაში	—	—	— 30,302
ბორჩალოსაში	—	—	— 7,863
ახალქალაქში (ჩვენი ვარაუდით)	—	—	— 13,122

სულ—492,037 ქარ-

თველი, ესე იგი აგრეთვე უმრავლესობა. ასე რომ ჩვენ მთლიან ტერიტორიაზედ თბილისის გუბერნიაში სოფლად არის 72%—ზე მეტი ქართველობა, ქალაქებიანად რომ ავიღოთ ეს მთლიანი ტერიტორია (ქალაქებშია კი უმთავრესად შე- ჯგუფული უცხო ელემენტები), მაშინ ქართველთა რიცხვი იქ იქნება 61%—ზე მეტი; თუ კი მთელი გუბერნია ავიღეთ, მაშინ ქართველთა რიცხვი იქნება თითქმის 50,9%—ზე დადებით როგორ მიდის ძირს პროცენტის სიდიდე! სოფლად 72% მეტი დაცულ ტერიტორიაზე, ქალაქებიანა; სადაც უმთავრესად არის უცხო ელემენტი—61% იმავე და- ცულ მიწა-წყალზედ, მთლად გუბერნიაში კი წა რ თ მ ე- უ ლ ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ნ ა დ—50,9% ქართველობა! საქმე მაშ ჯერ ქალაქებში ყოფილა,—მაგრამ ქალაქი არჰქმნის ტერიტორიას,—მერე კიდევ წართმეულ ტერიტორიაში, მა- გრამ აკი ვსთქვით,—თუ ჩვენი ბედი ღ უბედობა ამ ორი მაზ- რით სწყდება,—დაე იგი წაგგლიჯონ, მაგრამ ჯავახეთის მხლოდ ის ნაწილი, რაც დაკავებულია მთლიანად (ეს ასეც არის); რაც კი ისევ „დაუკავებელია“,—ჩვენი ისევ ჩვენვე მოგვანხაროს ღმერთმა,—ვის რა უნდა. რაც შეეხება ბორ- ჩალოს,—იქ იმედია და უფრო საფიქრებელი, რომ ბორჩა- ლოელი არა—ქართველნი „არეულ-დარეულ“ „ზაკავაზიეში“ დარჩენას ჩვენს ავტონომიაში შემოსვლას ამჯობინებენ!

თუმცა კი, მართალი უნდა მოგახსენოთ, ყველა ამ შემთხვევაში ცალ-ცალკე:—72%, 61% და 50,9% ქართველი მოსახლეობის მიხედვით—თბილისის გუბერნიას მთლად აქვს სრული უფლება ჩაითვალოს საქართველოდ, შევიდეს საქარ- თველოს ავტონომიის ბუნებრივ და ინტეგრალურ ნაწილად. ავიღოთ ვხლა მთლად ქართველთა რიცხვი საქართველოს ტერიტორიაზედ:

ბათუმ. ოლქ. (ჩვენგან შესწორებული ციფრი)—103,000 *)	
სოხუმის ოლქში აბხაზნი და ქართველნი	— 104,807
ზაქ. ოლ.—საინგ. ცალკე ტერიტ., აურვევლი	— 13,000
ქუთაისის გუბერნიაში	— 779,887
თბილისის გუბერნიაში	— 492,037

სულ—1,492,741.

სულ საქართველოს ტერიტორიაზედ არის:

ბათუმის ოლქში	— 144,584
სოხუმის ოლქში	— 112,316
ზაქათალის ოლქში	— 84,224

*) ეს ციფრი რასაკვირველია სწორი არ არის! იგი მი- ნიმუმის ნაგარაუდვეი მინიმუმი: დერჟავინის ცნობით (Ва- тумы и его окр.) ოლქში ართვინსა და ბათუმს გარდა მხო- ლოდ 144,322 მცხოვრებია, ბათუმში კი 1908 წ. სტატისტი- კით 28,508 მცხოვრებია. ქართველი ბათუმში მხოლოდ 6,086-ია ნაჩვენები, მათ შორის იმერელი მარტო 339, მეგრელი მარ- ტო 590, ქართველი მუსულმანი კი 176! სტატისტიკაც ამასა ჰქვია!—ქალაქის საბჭო კი ქართულია!.. სასწაულია მაშ რა არის!

ქალაქებში	—	—	— 69,992
თბილის მაზ., ჩვენი შესწორებით, მინიმუმი	—	—	— 38,635
მაზრაში (სტატისტიკის ჩვენებით)	—	—	— 118,377
თბილის მაზრისაში	—	—	— 78,687

ქუთაისის გუბერნიის	—	807,478
თბილისის გუბერნიის	—	966,808

სულ — 2,115,410.

მაშასადამე ქართველ-აზნაურთა შეადგენს საქართველოს ავტონომიის ტერიტორიაზედ 70,5%-ზე მეტს, და რომ გამოვაკლოთ ხსენებული ორი მაზრა და ისე ვიანგარიშოთ დაცულ ტერიტორიაზედ ქართველთა ¹/₁₀, გამოვაკლოთ ჯარი, ჩინოფნიკობა და სხვა ავტონომიისათვის უფარვისი ელემენტები,— მაშინ რასაკვირველია მეტს. ამას დაუმატოთ კიდევ ამ სტატისტიკის თვალ-საჩინო ისყალბე, და მაშინ ადგილი წარმოსადგენი იქნება, გვაქვს თუ არა უფლება ავტონომიისა, და ისიც,— თუ როგორი უბრალო და ტლანქი ქამრდებით უნდათ ჩვენ მოწინააღმდეგეებს ჩვენი გაბათილება და თავ-ლაფის დასხმა.

მე ვამბობ, რომ ყალბი და უმსგავსო სტატისტიკით, ან სტატისტიკის უცოდინარობით — სირიყვე და რეგვენობაა მთელი ნაციისათვის დაღუპვის საჩუქრად მიერთვევა. წინააღმდეგ, შეიძლება ისიც სთქვას კაცმა, რომ ყალბივე სტატისტიკით არც ნაციის აშენება შეიძლებაო. ოღონდაც, მაგრამ მე ეს ყალბი სტატისტიკა არ მიმჩნია ნამდვილად და არა ყალბად, და არც მითი მინდა ავაშენო ქვეყანა. მე მსურს მხოლოდ ვაჩვენო მკითხველს, რომ ამ ყალბი, ტენდენციოზური სტატისტიკის მიხედვითაც კი სრული უფლება გვაქვს ავტონომიისა და თავისუფლებისა! თუ ყალბი, ჩვენი დამამკირებელ-შემამკირებელი ციფრები ამას ამბობს, მართალმა რაღა უნდა სთქვას! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მართალი ციფრი ჩვენი რიცხვის გამომხატველი არსად არის, ამით მტერი სარგებლობს და გვთელავს,— ფხვით,— სულ აღარა ხართო! და ვინ იცის როდის გვეღირსება ეს ნამდვილი ციფრი! მე თქვენ გეტყვით ჩვენი სხვა და სხვა კუთხის ახალგაზრდობა ზაფხულზედ ბულერების ტკეპნის მაგივრად და არ შიყვობის ნაცვლად სოფლებს მოუფინება და ასწერს ჩვენთვის საყურადღებო საქმეთა, ან ხალხის რიცხვსა, ან არქეოლოგიურ ნაშთთა, ან სხვა რამეს!...

ეს კიდევ არაფერი,— ჩვენ რომ გვაბიბრებენ ბ-ნი ანები და ა-ები — ჩვეულებრივია, არ ახალია,— ძველია; — ქართველი თავის წისქვილს ანგრევდეს,— ვის გაუვირდება? მაგრამ ეს დალოცვილები სხვას რაღას ერჩიან, ან ვინ დააყენა იგინი ოსებისა, ჩაჩნებისა, ლეკებისა, თათრებისა და სხვათა ადვოკატებად! ჯერ ერთი — ოსები, ჩაჩნები, ლეკები, და ჩერქეზები უმეტეს ნაწილად ეგრედ წოდებულ „ზაკავაზიევი“ არა სცხოვრობენ და მათი „ზაკავაზიურ“ ავტონომიაში ჩაჩხერა ან ძალითა სურს ბ-ნ ა-ს, ან და იგი ვერ არჩევს „აკავაზისა“ და „ზაკავაზიეს“ ცნებათა. თუ გვინდა ნამდვილად, ადამიანურად, ვილაპარაკოთ, მაშინ ამიერ-კავკასიად უნდა ჩავთვალოთ კავკასიონის ქედს აქეთ მცხოვრები ერების მიტა-წყალი. ლეკიან-ჩაჩნიან-ოსიანად კი ამიერ-კავკასია კი არა, მთელი კავკასია იქნება განსაზღვრული ტერიტორია. — მეორე, — რა უფლებით უნდა სთქვას ბ-მა ა-მ ლეკების შესახებ, მაგალითად, რომ ისინი არეულები არიან, ან ტერიტორია არა აქვთო, როდესაც იმავე სტატისტიკით დაღესტნის ოლქში არის სულ 571,154 მცხოვრები, მათ შორის 460,913 დაღესტნელია, ერთი რჯულისა, ერთი სახისა და ერთი შემუშავებული ენისა. თუ სხვა და სხვა ჯგუფთა ენებში განსხვავებაა, ეს არაფერს არა ნიშნავს, რადგანაც მათ ერთი ლეკური ენა აქვსთ, რომელსაც ყველა მეტყველობს და ყველას ესმის. მათ აქვსთ აგრეთვე მთლიანი ტერიტორია,

სადაც მხოლოდ ქალაქებშია უცხო ელემენტი, სოფლებს სხვა ელემენტი ძლიერ ცოტაა. დაღესტანს აქვს სრული უფლება ავტონომიისა, და ვერავითარი არაუფლებით უფლებას ვერ წაართმევთ. მათ შეუძლიანთ განსაზღვრონ იგი, მათ შეუძლიანთ აგრეთვე მთელი კავკასიის მიემიხრონ და შეჭკრან ძმური კავშირი საერთო ბრძოლისა — ეს მათ დაამტკიცეს თავიანთი ხანგრძლივი და გმირბრძოლით, რომელშიაც, უნდა ვსთქვათ, ქართველებმა უკლებმა საზიზღარი როლი ითამაშეს და ზიზღიცი დაიმითხულთა თვალში. ალბად ჩვენი ღენერლები და ჯანფეოდალობის ებრძოდენ და მთელ კავკასიაში რუსის რების დასამკვიდრებლად იშვივლებდენ ხოლმე ხმა აგრეთვე განჯის გუბერნიაში სრულიადაც არ არის არე-დარევა, როგორც ბ-ნ ა-სა ჰგონია, სულ არის იქ ვრები 878,451, მათ შორის თათრია 534,181, ე. ი. უმრავლესობა; სომეხია მხოლოდ 292,188. დინარჩენები ცოტაა. ბაქოს გუბერნიაში სულ 826,716 მცხოვრებია თათრია 486,432, სპარსელი — 5,973, თალში — მტატები — 89,519, ლეკი — 62,945, რუსობა და სომხობა — პირველი 67,681, მეორე 52,233. სულ მაშასადამე ნათესავე ხალხთა რიცხვი ენითა, სჯულითა და კულტურითა (თემცა რასით რა) არის 629,453, და მათ შეუძლიანთ თო ცხოვრება სრული თანხმობითა. სომხობა და უმეტეს ნაწილად ბაქოშია შეჯგუფებული. დინარჩენები ცოტაა. ამას გარდა, შესაძლებელია ბაქოსა და განჯის გუბერნიათა შეერთება, და მაშინ შესდგება გვარნიან ტერიტორიაც თათრებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ მუსულმან რომელთა შეუძლიანთ მშვენიერად მოაწყონ თავიანთი რება. საკვირველია, მაშასადამე, რა უფლებით უწოდებენ ეს ჩვენი არა მკითხველი მოამბეები არეულ-დარეულებას თემვენ ავტონომიის უფლებასა?

რაც შეეხება ყარსისა და ერევნის გუბერნიებს, მართლადაც და არეულები არიან სარწმუნოებრივ ეროვნებითა, მათ როგორც უკეთ ნახონ, ისე მოაგვივიათი საქმენი, იქ, სადაც შესაძლებელია მაგალითად ნალური წყობილება, მთლიანი ტერიტორიის მიხედვით შემოიღონ იგი საერთო თანხმობით. ეს მოწყობილება ირველია, ძლიერ ძნელია, მაგრამ იგი რა ძნელია რა შუაში ვართ აქ ან ჩვენ, ან დაღესტანი, ან ბაქოსა და თათრობა ნუ მოსულმანობა? ერთს რომ ცუდად საქმე, — მეორე, თუნდ მ-სი მგზობელიც, ამის მიხედვით თონაც რათ გაიფუჭებს საქმესა? კარგი რამ არის მისი სიმპატია, დაზარება, სოლიდარობა... მაგრამ რომ სქმე ძნელად ჰქონდეს დახლართული და მტონ მასთან სოლიდარობით თვითონაც განხლართოს თამე, — სიბრძევესა და რეგვენობას არ ჩაიდენს?!


ალაროდელი

ველიდას.

მოვარკეს

ჰე მოვარკე, მოვარკე! ცისა სივრცელს
რა დაღვრემილი დასცქერ არესა!
რისთვის მიმქრალხარ,
რად დაღვრემილხარ,
სხივს რად არა გვფენ მოელვარესა?
იქნებ მას ჰნალვლობ, რომ ობლადს
ვარსკვლავებ შორის მარტო დასდიხარ,
არ იცი სხივი ვის მიაყარო,
ვერც ჰპოვე არსი რომ შეიყვარო!

ა. შ-



სოფალს მიხედვით!

ქართველი გლეხი არას დროს არ უფიქროს განც-
 ძი, მას არ უგოდებია არას დროს მეგობრული
 და აღერის, ცხოვრებისა მეჯლისში არ ქქონია
 თითქმის ადამიანი იყო, მაგრამ ადამიანის უფ-
 ე არ ქქონია, ის მუდამ ცერი იყო ბუნების, მაგ-
 სისაც ის დღეს განიცდის, რასაც ქვედავს თვალე-
 და რასაც გრძობს, ამას არამც თუ ჩვენს,
 წარმომადგენლად თავისი გლეხის გულზე კი,
 ჩაგრული ჭირსახული, ჭირს-ნახვევი გული.
 უწინ, როდესაც გლეხებს ახალი რამ უბედურება
 დაატყობდა, ან საჭმელი ვური შემოაკლდებოდა,
 მის მეტად უსამართლობით მოკიდებდნენ უმეწ-
 თა გაძარცვავდნენ, თავზირს დახტურეკდნენ, ის
 და უკველ ვარ ტანჯვას, სიმშვიდის, წამების რ-
 მრავალ-ტანჯული იობი და როგორც იობი
 ღდა მადლობა ღმერთს, მადლობა უფალს!
 მის სჯეროდა. რამ ამ უსამართლობას ვინმე ქვე-
 და თანაგრძობდა მას, რამ უსამართლო ადამი-
 ს საქციელი არ ეზატეობდა, ხოლო მას უსამრ-
 და დასჯილს ზარალი ერთი-ორად მიეძღოდა და
 ტანდა, ცხოვრების სიმძიმეს არ უშინდებოდა,
 დღეს ეს უკუმიტ გი დაეკარგა, ეს ცრუ წარმოდგენაც
 არ აქვს ქართველ გლეხს.
 დღეს გლეხი იმ აზრს დაადგა, რამ მას სტანჯა-
 რა გამოსდევდათ, როგორც ღმერთი იობსა, არ
 სულის სიძლიერის გასაკებადა და გასაზომათ,
 იმიტომ, რამ ის გლეხია, უკვლავ დანარჩენი კი
 ბატონი, რამ ის ცხვარია, უკვლავ დანარჩენი
 რომელიც რასაც დღეს თავისივე მკზავსი ცხო-
 ხორციით არ გაძლება, ის დღე მას დღედ არ მი-
 და გაუმძღარ, აღარებულ მეტყელს ვერ დაავიყო-
 მს.
 დასვენებულ მივიდა დღეს გლეხი და სასწრაფო
 მს შეეცა, ხელუბი დაუშვა და ბრძოლას თავი
 ეტეობა, ნათლად ეტეობა სახეზე, რამ წყაღში
 მიღვივით განკებისთვის მიუღია თავი და ელის
 ბოლოს, ტანჯვის დამთავრების, -სიკვდილს.
 რამ მიიყვანა ქართველი გლეხი ამ სასწრაფოთილე-
 რად დაეკარგა მას სრულიად იმედი არსებობისა,
 ტანს გლეხის მაგარი, ტანჩი გული?
 ეს კითხვები თუ არ გვანტურესებს ჩვენ როგორც
 ღმერთს, ჩვენთვის თუ ეს ვარქმეობა უ მნ იმ ვ ნ ე ღ მ
 მას წარმოდგენს, თუ ჩვენ ვერ გამოუდგებით ამ
 ამ გვარ წ ვ რ ი ღ მ ა ნ ს ა ქ მ ე ს, რადგან უფრო
 მოვლევობა, უფრო დიდი საქმე დაგვისხნია: რ-
 მოვლევით რუსისა, ფრანგისა, ინგლისელ გლე-
 მოვლევობა, თუ ჩვენთვის ეს სანტურესა არას,

როგორც მოვლევ ადამიანისთვის, სანტურესა როგორც
 ერთგვარი შინსოფლოური აქტი ადამიანის უ
 და იმიტომ დროს დაკარგულათ ხუ ჩვენს
 ორიოდე წუთს მოვანდომებთ ამ მოვლენის ახსნას და
 გამოვკვლავს.

მაშ რამ მიიყვანა ქართველი გლეხი ცხოვრების დრა-
 მის ამ უკანასკნელ წერიტლამდე?

ვინ გინდა, რამ გლეხს არ ბიტონობდეს, ვინ გინ-
 და რამ გლეხის უბედურებაზე თავის ბედნიერებას არ
 აშენებდეს, რა გვარი ბუზი გინდა, რამ მას არ ეხვიოს
 და სისხლს არა სწუწნიდეს, რა გვარი მსჯელაჯუნა გინდა
 რამ მას კისერზე არ აჯდეს და სულის თქმას არ უძნე-
 ლებდეს, არ უორკეცებდეს ისედაც ტანჯულ ცხოვრებას
 ამა ქვეყნისას.

ამ გვარ შინობებში იყო გლეხი დღემდის და არის
 დღესაც, მაგრამ დღეს ამ შინობებს სხვა კიდევ უბედობი
 დაერთა.

დღემდის გლეხი იყო ყველასთვის სწველი ძროხა,
 რომელსაც ბატონი არა ქვლავს, შინიქით უფრთხილდე-
 ბა, უფლის, აჭმევს, ასმევს რამ რძე მღწველს.

და რადგანაც მას ქვედა რამდენიმე ბატონი, ამი-
 ტომ ეს ბატონები ერთი ერთ—ერთმანეთისგე წინაშე
 ესრელებოდა გლეხებს და უკვლავ მათგანი სტდილობდა,
 მარტო, იმის მოწვევლა, მარტო ის უფილიყო მისი ბა-
 ტონი. მთავრობა იცავდა გლეხს შემამულის თვითნებობა-
 ს და გაუმძღარ მადისაგან, შემამულე მთავრობის
 უსამართლოებისა და ძაღმომრეობისაგან, ორივე ესენი
 ვაჭრის უსინდისო ექსპლუატაციისაგან და ამ გვარად
 გლეხს ბატონიც ბევრი ქვავდა და ამავე დროს ბატ-
 რონიც. ბატონი—მესაკუთრე. ბატონი—ექსპლუატა-
 ტორი. გლეხს, მაგალითად, სტრანბანებლად ქქონდა, თუ
 ის რომელიმე შეძლებულისა და გავლენიან ბატონის ვმა
 იყო. ქართულ სიმღერაში ლექსიც კი არის ამ გვარი ..
 ბატონის იაღადი ვარ მტერსაც არ შეუუშინდებთ მარ-
 თლაც სკამის იყო, რამ რომელიმე რუსს ბოქაულს
 ხელი დაეკარებინა გლეხებისათვის, ან უსამართლოდ
 დაეტყვისდებინა, ან სხვა რამე თვითნებობა მოქმედარა
 რამ ბატონი გლეხისა მზად იყო უკველგვარი სმუალე
 ბა ემარა და დაეცვა „თავისი გლეხი“ სხვას უსამრ-
 ლობისაგან. ბევრი ბოქაული გამათრახებულა, ბევრ
 სამსხურდიანაც დაუთხოვნიათ ამის გულისთვის. ეს იცო-
 დნენ ბოქაულებმა და თუ გლეხის კალანჯა, ან დარბე
 ვა უნდოდა. ჯერ იკითხავდა, რა სოფლიდანა, ვისი გლე-
 ხია და თუ გაიგებდა, რამ გლეხის ბატონი გავლენიან-
 ნია ან და ფიზიკური ძალა მოსდევს, კბილებს დაკრ-
 ჭუნებდა და თავს გაანებებდა.

უშინოდა აგრეთვე გლეხის ბატონს-სომეხ ვაჭარსაც.
 თუ ვაჭრის ექსპლუატაცია წრეს გადავიდოდა, თუ
 „ღისტი“ გლეხის დარჩობას მოიწადინებდა, ბატონი

თავს გამოიღებდა და გაუმადარ ვაჭარს „ღისტს“ ხშირად თავსე დახვედა. ასევე იქცეოდა მთავრობა, თუ გლეხს მეტისმეტად შეაფიქრებდა შემამუღე, ან თუ ვაჭარი. მათი სამართალი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გლეხისკენ იხრებოდა. ერთი სიტუაციით. ეს სპი წურბელა გლეხის ერთი—ერთმანეთს უსიტუოთ ეუბნებოდა: გლეხი ჩემია, მე უნდა ვსწუწნო სისხლი, მე ვარ იმისი ბატონი და ბატონი და ჰქონდათ ერთი-ერთ მანეთში შუღლი და მტრობა და გლეხიც სარკებლობდა ამით, სარკებლობდა იმდენად, რამდენადაც სარკებლობს ხარი, რომელსაც სხვა უცხო ვერ დაჰკლავს, აშკარად სარკესაც კი ვერ დაჰკრავს, რადგან მას ჰქვავს ბატონი, რომელიც გამოესარჩლება და თავს გამოიღებს, თუმცა იგივე ბატონი, რა დღესაც უნდა, ხარს დაჰკლავს და ბევრსაც უჯახუნებს ბეჭებს.

ასე იყო დღემდის დღეს ქართველ გლეხს ეს „პრიველეგიაც“ კი მოესპო, დღეს ეს ზიურტუვის უფლებაც კი წაერთვა.

დღეს ბატონებდ ისევე ისინი არიან, სხვებიც ბევრი მიემეტა, ბატონი კი არავინა ჰქვავს.

მიზეზი მეტის მეტი მართლია.

ამ რამდენიმე წლის წინად გლეხს მოეკლინა „ახალი ბატონი“, რომელმაც იმავე ძალმომრეობით, იმავე ბატონულ გამოსარჩლებით ჩამაშორა გლეხს „ძველი ბატონები“ და თვითონ გაბატონდა მხე. „ძველი ბატონებმა“ რასაკვირელია ვერ მოინუღეს ეს გარემოება და როგორც, „მოდლატე“ გლეხს ისე მის „ახალ ბატონს“ გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა. „ახალი ბატონი“ დღეს დასუსტდა, ბრძოლის ველს თავა ანებებს და ამ გვარად გლეხის ცხოვრებაში დგება გარდამავალი ხანა. ვინ გაბატონდება დღეს ისევე გლეხებზე—ი რა საკითხი უძველეს გლეხს თვალ-წინ, ხელთ ამ საკითხის გარდა-წვევტამდე, ის უმწყალეთ იტანჯება.

მთავრობას და თავდა-ახანურობას ვერ უხატებიან გლეხებისათვის „დალოტი“ და სასტიკად სჯის აწამებს გლეხს, თანაც ერთი მთავანი რაც უფრო მეტად შეუხუთავს გლეხს სუფსა და გულს, მეორესთვის ხელსაყრელია და გასახარელი დღეს როგორც, „ძველი“ ისე „ახალი“ ბატონები თითქმის ეუბნებენ გლეხს: ჰხედავ; ჩემს ბატონობას ჰევე რა კარკად იუაგი, რა კარკად გრძნობდა თავსა, მაშინ მე ვიუაგი შენი, ბატონი, არავის ვანავგონებდი შენ თავს. დღეს, ჰხედავ, რა დღე დაგადა? ახლა ხომ დამაფსებ, ახლა ხომ არჩევ ჩემ ბატონობას!

ამას ეუბნებენ დღეს გლეხს და მშველელი კი არა სდ ჰქვავს!

გავითვალისწინოთ გლეხის მდგომარეობა ამ სპი-ოთხი წლიდან დღევანდამდე და ვილახარაკოთ ფაქტებით. ვინ იყო ის „ახალი ბატონი“, რომელიც ზევიით

მოგისხენიე, მეითხველი ადვილად მიხვდები, ეს კანს „ჩვენი სოციალ-დემოკრატია“. **ნიშნაღორი** ჩამაშორა გლეხს ძველი ბატონის გამოცხადებას. რა კანს რომ გამოცხადიჯო სესტუეში გასაბატონებლად გატაცებული ქალი შენ თვითონ გაუმატორო, მე მგონი, ის ქალი მადბას არ გატყვის ამისთვის ამ გვარ გმირობისთვის.

რა დღე დააუენს ამ „ახალი ბატონმა“ ქარ გლეხს, ეს ნათლად სჩანს „ნიშნაღორში“ მოთავსებულის წერილებიდან, რომლის მიერ მოუგათათსგვარი საზიზღარი ფაქტები, სოციალ-დემოკრატ დემდის ვერ დაურღვევიათ, თუმცა ბევრს სდღედენ.

ამ წერილებიდან შეგიძლიანთ, მეითხველთ, მოიდეინოთ, რა ტანჯვაში იყო გლეხი „ძველი ნებთან“ ბრძოლის დროს. ამ დროს მანინ გამოესუნთქა თავისუფლად, უბატონად! ერთი, რი წუთით მანინ გლეხს თავისუფლება და უსასუიდეოდ ესარკებდა მიწა-წყლით რომელცედაც თვითონ სდგას და თუმეშობს! აქც კი უმტუენს გლეხს მისმა ბედმა. „გაუვარა და „გუი“ შეუვარა. მაგრამ საკითხს აგრდით გარემოება არ შეადგენს ამ წერილის მანანს, ამ დავანებოთ ამას თავი და გამოვიკვლიოთ რა მემოქვევა მოძრობას რეკლუტის. როგორ ჩავარდა ვარდება გლეხის ცხოვრება თავის კალაბტში დაჰკარგა და რა შეიმატა გლეხმა მოძრობის შემდეგ.

მე მგონია, აქ მეტია იმის თქმა, რომ ამ შეროგორც სოციალ-დემოკრატის ისე სხვა სოციალ-ბატონებს არავითარი ბრალი არ მიუძღვიოთ ეს რეკლუტისისა. დამარცხდა მუშა—ხალხი სასუფსდსდღება, სოციალ-დემოკრატის ბრალი სუფ სერემოებაშია. არ ვიტყვიოთ აგრეთვე არაფერს, რად ცხდა ეს აბობქრებული ზდვს მუშა ხალხისა, შემას თუ არა გამარჯვება. გიმოტრებ, ჩემი მიზანი დოდ დავუსახო მეითხველს დღევანდელი გლეხის მარეობა მიზეზებ გარეშე, ისე როგორც არის დგორც თვლით ვხედავთ.

დავივიწყოთ რაქციის გაბატონებიდან. აქ უნდგურუნდეთ, ძველ ბატონებს, რომლებიც რაქცი მიაკუნტული თავდახრალი ს:დღაც იმაღებოდა. ციის შემდეგ კი გამოჰქოთ თაკი და ძალა-მოხვევებდს ახლად გაბატონებისა, ძველი უფლებების ადღებუნდკენ. დავიწყოთ მთავრობისკან.

სოფლელი.

(შემდეგი იქნება)



ნაწყვეტები.

არ გაგიღიმა ცრუ ბედმან
 ბარბაროსთაგან წამებულს,
 უდროთ მოგისპეს სიცოცხლე
 კაცურ ღირსებით აღვსებულს.
 მტარვალის ხელი შეეხო
 სულს ციურ გრძნობით აღვზნებულს,
 ვერ ასცდი მახეს მტერთაგან
 შენს დასალუპათ დაგებულს.

საუკუღმართოთ ამდგარან
 კლავ შავი, ბნელი ძალები
 როდის იხილავს ნათელსა
 მიბნელებული თვალები?!

როს გაიდვიძებს ქვეყანა
 ატირებული, მწუხარე,
 როს დაიგრგვინებს ხალხის ხმა
 გაკაჟებული, მქუხარე?! ..

თომა ჰუსა.

პ ა ს კ ო რ ტ ი

თანამედროვე ინტელიგენტი სათვის.

ნიშნები

სიმაღლე — ზომიერად ჩამდაბლებული
 თვალები — ნაღვლიანი, სევდიანი, ახვეული,
 ცხვირი — ჩამოშვებული დამპარებული, ჩალურჯე-
 ბული.

ყური — აცქვეტილი, დაშინებული, აწითლებული
 პირი — დაცული, მუნჯი, უტყვი
 შუბლი — გაშლილი და აღსავსე თავისუფლების იდე-
 ალებით.

წარბები — შეკრული, მწუხარე.
 ყბები — დალურჯებული დამტვრეულ კონდახებით
 ხელები — მოღუნებული და შეკრული
 ფეხები — შებორკილი, უღონო, ბარბაციანი
 მუხლები — მოქანცული, მოღუნებული, აკანკალებ-
 ბული

თავი — გაღ-ყებული შიშისა და ნატვრისაგან
 წელი — მოხრილი, მონური
 კუჭი — წელზე მიმხმარი შიმშილისაგან
 გული — საგულეს არ არის, მუცელში ჩაწეული,
 ამაგძაგებული

სისხლი — გამშრალი და ისიც წყალ-წყალა
 განსაკუთრებული ნიშნები — პირველისა და მეორე
 ღუმის დაგლეჯის შემდეგ, მესამე — მიმხმარი.
 საერთო გამომეტყველება ს. ხისა — სასურველი მთა-
 ვრობისათვის და ბაალი — ბაალით დაღმეჭილი.
 საფაროლი.

„ნოიანი“

ერთობის დროს შეხვდა ერთი იმერელი
 გურულსა და ჰკითხა

— ძამია, დარჩა კიდევ სადმე ცოცხალი ადა-
 მიანი?

— ამაა, რაც იყო ყველაყა ერთობის წარ-
 ლუნამ დაღუპა და ვინც ცოცხალი დარჩა ყველაი
 ნოიანი არისო, მკვირცხლად მიუგო გურულმა.

ერთა შეაკვეცა ოცნებას
 ბედის უკუღმა ტრიალმა;
 შუქი მოჰფინა შენს სახელს
 სხვისთვის სიკეთის ტრფიალმა;
 ვერ შეგაშინა შავ-ბნელი
 დროშის ჰაერში ფრიალმა ..
 ჩაგიქრეს გრძნობა ცხოველი
 გიმუხთლა ბედმა ტიალმა!

ვატერ.

ქართ. ესდეკთა სიბრძნე.

გონიერებას დემაგოგია სჯობიან, სინიდის — ხერხი.
 ჰკვე სიმდიდრე, იქადაგე პროლეტარიზაცია, თვითონ კი
 „თბილი ადგილისა“ სორა მოძებნო და სხვის ნაო-
 ზე გაჰუნდე.

ჰკუთ ღარიბი სჯობიან გამდიდრებულ ბურჟუას.
 ღარიბ-ღატაკთა „აბაზები“ უფრო ხელსაყრელია ვიდრე
 ღართა „ავანსები“.

ზურგი შეაქციე შენს ერს და სამშობლო, თუ გინდა
 „წმინდა წყლის სოციალისტის“ სახელი შეინარჩუნო.
 ლანძღე და თათხე მოწინააღმდეგე, თუ გინდა რომ თვი-
 წმინდა და უბიწო დარჩე.

ყოველივე შენი თაღლითობა „სოციალიზმით“ ამართ-
 სხვისი სიმართლე და გულწრფელობა „შავრახმულის
 ის კვეთებით“.

უზრუნველობის დროს ხალხს თავზე წამოაჯექ, ხოლო
 გასაჭირსა „დატრაკე“.

ისარგებლე ყოველ შემთხვევით ყოველ ჟამს მოკამათე-
 ისაბლაღად და თუ ამაში გაგამხილეს ხულიგანი უწოდე.
 „ხმა“ — შეუტბილე „გოლოს კავკასს“ და მით უზრუნ-
 ჰყავი შენი პარტია „პოგრამების“ განსაცდელისაგან.

პატივით მოიხსენიე მხოლოდ ისინი, ვისიც გეშინიან
 გერიდება, ხოლო შენიანებს — ნაციონალისტებს ქვა და
 და მიაყარე, ამას მოითხოვს „სოციალიზმი“.

ყოველივე ამას გავალეხ მთლიანობა „ცენტრალიზმისა“.

მონადირე.


* *

სული სწუხს, გული ღონდება;
 ქვეყნათ ვერ ვხედავ სიმართლეს;
 წყვილიდი გამეფებულა,
 ვერსად ვუყურებ სინათლეს!...

რუსული პოეზია.

პოეტი

(ხადასიხი) რიკველი
— გიგლიოთიკ



ნადსონი

პოეტი ნადსონი.

სიმონ ნადსონი ცნობილი და ერთი საუკეთესო პოეტი ოთხმოციანის წლებისა და დღემდე არ დაუკარგავს თავის მომხიბლველი ძალა. ნადსონი შთამომავლობით ებრაელია. მამა მისი მოხელეთ იყო, მეტად ნიჭიერი მემუსიკე. დედა მისი რუსის ქალია აზნაური მამონტივის შვილი. ნადსონი დაიბადა 1862 წ. 14 დეკემბერს. ორი წლისა იყო მამა რომ მოუკვდა. დედა მისი ზღმეორედ გათხოვდა. ოჯახში ნადსონი უბედური იყო. მალე დედაც გარდაეცვალა და ნადსონი თავის ბიძასთან იზრდებოდა. ნადსონი სამხედრო გიმნაზიაში მისცეს, რომელიც 16წლისამ გაათავა. მერე გადავიდა პავლეს სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1882 წელს გაათავა და აფიცრად გამოვიდა. მერე გაცივდა და ფილტვების ავადმყოფობად გადაექცა, რამაც ძლიერ დაასუსტა. თბილისში იყო ერთი წელიწადი კასპიის პოლკში.

წერა ადრე დაიწყო—1878 წელს და მაშინათვე მიაქცია საზოგადოებას ყურადღება. რაც დღე გადიოდა უფრო ეტყობოდა მგონობის დიდი ნიჭი, 1885 წელს მის ლექსთა კრებული გამოვიდა და ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაიბეჭდა. დასუსტებულს მგოსანს სიტუქე შეეპარა და მიუხედავად თავის მოვლა-პატრობისა ამ კლექმა საფლავში მალე ჩაიტანა. ნადსონი გარდაიცვალა 19 იანვარს 1887 წელს იალტაში. დასაფლავეს დიდის ამბით პეტერბურგში. სიცოცხლეშივე სამეცნიერო აკადემიამ ვერედ წოდებული პუშკინის პრემია მიუსაჯა. ნადსონისთანა პოპულიარული და საყვარელი მწერალი ყველა წრის და წოდებისათვის სამოციან წლების შემდეგ არა ვინ ყოფილა რუსეთში. ნადსონის ლექსები საუცხოვოა თავის მუსიკალობით, რითმებისა და აზრის სიმდიდრით და იშვიათის გულწრფელობით. მიუხედავად ამისა ნადსონი სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ დევნილი იყო ვერეთწოდებული ტეშმარიტ რუსთა მწერლობისაგან და განსაკუთრებით „ნავ. ვრემ.“ კრიტიკოსი ბურენინისაგან. ნადსონის ლექსების თარგმანი დრო გამოშვებით იბეჭდებოდა და კვლავაც დაიბეჭდებიან „ნიშადურში“.

დაე სიმღერა მღურვით აღგეგზნოს, სიმართლის ცრემლმა დადაგოს სული; ჰპოვონ შიგ ნატვრა, ხალხთ მოწოდება და მამულისა კვლავ სიყვარული. დე ყოველი ხმა წინ მიგიწვევდეს, ბრძოლით დაქანცულთ იმედს გვაძლევდეს; დაცემულთ სახელს უკვდავსა ჰყოფდეს და მხალა-მშიშართა ყველგან არცხვენდეს. დე გაგვიწვიოს ბრძოლის ველზედა, მოგვასპობინოს ღამის წყვილიადი, რომ კვლავ გამეფდეს ქვეყნად სიმართლე უხვად გვაფრქვევდეს შუქს განთიადი! —

მაშინ შენ წინა მუხლსა მოვიდრეკეთ და „პოეტი ხარ!“ ერთხმად შევიძახებთ.

დაე სიმღერა მილივილივებდეს, ვით ნაკადული ნელად მჩქეფარი; იმედ—ნატვრასა გულს გვიღვიძებდეს და ხან ისმოდეს სიცილ-ხარხარი. დაე, ხმამ მიგვცეს თავდავიწყებას გადაგვაფრენდეს ოცნების მხარეს, — სად იფურჩქნება მშვენიერება, არსად აფრქვევენ ცრემლსა მღულარეს დაე, ვსტკებოდეთ ტკბილის ფიქრებით, გულით მოხუცნი გავჯვილდებით! —

მაშინ შენს ლექსებს ჩვენ შევიყვართ და „პოეტი ხარ!“ ერთ ხმად შევიძახებთ. ა. შ — ლი.

კუბრუსმას

„ნაპერწყალის“ მეთაურებს, სულ დიდ-ყურა ბედაურებს, „ნაშა ჟიზნის“ პეტრე ყარიბს, ამის ამქრებს, ტვინით ღარიბს, „ემ-მათრახის“ ტაკი-მასნრებს, ენა ჩლოუნგებს, არა მბასრებს ნაძალადევ და ცრუ მგოსნებს, სიყალბითა პატიოსნებს, სპერანძას, მას ხაჩატურას, კულა მელას, გლახა ტურას, ქონდრის კაცებს, ცოდნით ბჟიტებს ცენტრალისტებს, ეზუიტებს გზა დაბნეულ გოგრით თხელებს, ეს ლექსი თუ გაახელებს, — ნუ იტყვიან საყვედურებს, — მე ვერ ვაქებ იმათ ჯურებს! მაგონებენ ყველა ქურებს!..

თომა პუშკინი



ესდევური „ღუელი“

ეროვნული
გეოლოგიური



2



ადვილი წარმოსადგენია, როგორის ზრდილობით ებრძვიან მოწინააღმდეგეთ, თუ თავიანთ შორის ამ სახით კამათობენ.

ღელის ნებიერი, ვენცელის ნახატი

შუქლავნი არონას.

ვფიქრობ და ვფიქროვ ბეჩავი...
ვერ გადავწყვიტე საკითხი:
რატომ ჩვენ ძმები არა ვართ?
მითხარი, თუ გაქვს ნაკითხი.

რა უყოთ, ქრისტე არა გრწამს!
შენ რომ ბუნების ხარ შვილი?
შენცა გაქვს კკუა-გონება,
ამ ქვეყნათ გიძევს შენც წილი.

შენც ხარ ღირსებით შემკული:
სულით მაღალი, მდიდარი.
მაშ რათ არა ვართ ჩვენ ძმები?
თუ-კი იცოდე, მითხარი.

სარწმუნოება რა არის?
— სამოსელია უბრალო,
ბრბოთათვის კიდევ საჭირო,
არ უნდა იყოს უწყალო.

თუ კი ეს ხალხი სუყველა
ერთის დედ-მამის შვილია,
ძმები ვყოფილვართ ყველანი;
რა დამტკიცება სჭირია.

რისთვის ზღვენიან ებრაელთ
ქრისტეს რჯულისა მოსაგნი?!
ამას კითხულობს ყოველთვის,
ამას დაეძებს მგოსანი.

მაგრამ სად არის პასუხი?
ვინ იტყვის საქმე რაშია!
უსამართლოა თვით კაცი.

„ღმერთი, ხომ იცი, ცაშია!“
მინდა ვიტყო, ვიტყო;

ეგებ მომეცეს მით ზეგება.
კაცთა გონებით სიბრმავე
მაშფოთებს, გული მიკვდება.

„შეიყვარებდეთ ურთი ერთს.“
ეს ღიღი მცნება ქრისტესი
რომ დაივიწყა ქვეყანამ,
მისთვისა ესტირი და ვკენესი.

კორტობა.

შოთაბეჭდილებანი

VII

ღიღი საქმე.

რა აზრისაც უნდა ვიყოთ წარსული აგრარული მოძრაობაზე, იმ უმართებულო და გულშემზარავ მოვლენათა შესახებ, რომელთაც თვით მოძრაობასთან მხოლოდ გაუგებრობისა და ტინგიცა შეკადრებულთა წყალობით ქონდათ კავშირი, მაინც ნათლად ვხედავთ, რომ ამ მოძრაობისა ძირითადი მიზეზი მიწის უქონლობა იყო მშრომელ ხალხისათვის.

თვით მთავრობამაც შეიგნო ეს აზრი და თუმცა გომეოპატიურის საშუალებით, მაგრამ მაინც ცდილობს დააკმაყოფილოს „მიწის შიმშილი“... რუსეთში.

ჩვენთვის კი ეს რუსეთისათვის სასარგებლო ცდა შევიწროების და შეწუხების ახალ იარაღთადაც გავიქცა.

მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, თითქოს არ იცოდეს მკვიდრთა გაჭირვება და ცდილობს უმიწაწყლო რუსეთის გლეხობას აქ, კავკასიაში, მოუნახოს ნავთსაყუდელი. საგლეხო ბანკი, რუსეთში გლეხობის ოდნავ მანც შექომავე, ჩვენში გან-

გებ აძნელებს გლეხების მიერ მიწების შექმნას: 50,000 დესიატინა მიწა ჩაუგდია ამ ბანკს ხელში და მკვიდრ მცხოვრებთათვის არ იმეტებს-მაშ, საეკუო აღარ არის, თუ ვისთვის არის იგი შენახული.

ყველა ხარჯს, რომელიც სახელმწიფოს მოსდის (ბანკს ბევრათ მეტათ უჯდება გასესხებული ფული, ვიდრე სარგებელი შემოდის; ზარალი იფარება საზოგადო სახელმწიფო შემოსვლიდან) ამ ბანკის შენახვაზე ჩვენც ისე ვიხდით, როგორც სხვა ტომები, ხოლო ბანკით სარგებლობა ჩვენთვის შესუღუდულია... და ასეთს მოქმედებაზე მთავრობის წარმომადგენელი და მათი თაყვანის მცემელი უსირცხვილოდ გაიძახიან, — ქართველები ჩვენი, რუსების, ოფლითა და შრომით ცხოვრებენ!

რასაც მთავრობა აფერხებს, მას ხელი ჩასჭიდდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ.

ჩვენ წინ გაშლილია თავად-აზნაურობის მიერ 1907 წელს, 20 ფებერვალს, დაარსებული კომისიის ანგარიში. ჯერ კიდევ 16 თვე არ შესრულებულა, და კომისიას მოუხერხებია გადაეცა გლეხებისთვის 8188 დესიატინა მიწა, ღირებული 486,395 მანეთად. ეს მიწა შეუქმნია 3899 კომლს. ამ რიცხვიდან არა ქართველები არიან (ოსები; სომხები, თათრები და ბერძნები) 591 კომლი, რომელთაც შეუქმნიათ 1894 დესიატინა, ღირებული 130,600 მანეთად

ციფრები ნათლად ამტკიცებს, რომ კომისია, როგორც ინსტრუქციაც მოითხოვს, ეხმარება ყველას განურჩევლად ეროვნებისა. ჩემის აზრით კი... გარეთ ტაბლას რა უნდა, როცა სახლში შიმშილით ვიხოცებით?... მაგრამ ნახავთ, რომ ამ კომისიასაც დასწამებს ვინმე მატრაკვეცა შოვინისტობას!

„ამირანის“ მოწინავე წერილის ავტორს როცა დაც კლასიური ელფერი დაუნახავს კომისიის მოქმედებაში: თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში უფრო ბევრი უმოქმედნია კომისიას, ეს მაზრები განაპირა ადგილებია და იქ მოქმედება კლასიური ელფერს აძლევს კომისიასაო.

ვიშ, შორს მჭვრეტელობავ!

ერთი რომ, სწორეთ თფილისის მაზრაში კომისიის დახმარებით შეუქმნიათ 5 ა კომლს. არა ქართველებს (სომხებს, თათრებსა და ბერძნებს, კლასებრივ ბრძოლაში ჯერჯერობით ყოვლად უმნიშვნელო ელემენტებს) 1163 დეს. მიწა; თანაც, განა უარი უნდა ვთქვათ ქართველებმა ამ ორ მაზრაზე, თუნდაც ultra სოციალისტი ვიყოთ და ultra დემოკრატი ფედერალისტი?

გარდა ამისა ყველა მიწები ქართველთა თავად-აზნაურობისაგან არის შესყიდული; ერთად-ერთი

ნაჭერი ისიც ოსებისთვის შეუქმნია საუფლისწულო უწყებიდან კომისიას. რომელი ქართველი ინტერესების დამცველი დაწესებულება შეტყვევებს ხელისიანებს და ეცდება გამოართვას ხელიდან მამული? სადაა აქ კლასებრივი ინტერესი, რომლის შემდეგში გადიდებისა კიდევ უფრო ეშინია „ამირანის“ პეპლიცისტს?

კარგი იქნება, რომ ავტორი დაუბრუნდებოდეს ამ საკითხს, და „ამირანის“ მოწინავე წერილების ჩვეულებრივ ბურჟუას მაგიერ გარკვეულ ფაქტებით აღნუსხავდეს, სად, როდის და როგორ გამოამყლავნა ქართველმა თავად-აზნაურობამ თავისი ვიწრო კლასებრივი ინტერესები!.. ნუ თუ შეიძლება აცალოთ ადამიანს იმუშავოს ისე რომ თქვენგან არ მიიღოს ყალბი ზედ წარწერა?

ნ. ლორთქიფანიძე.

ყურმოკრული საუბრები


სამი დიაცი ერთად სხედან. იქვე სდგას ერთის პატარა ძმა. დიაცთ დავა აქვთ, თუ ვინ უფრო ლამაზია და მომბლაფი მათ შორის.

— პეტეო, ეუბნევა დიაცი თავის პატარა ძმას, აი ვაშლი გამოართვი და ვინც უფრო ლამაზი იყოს და ვინ უფრო მეგეწონოს ჩვენ შორის, იმას მიეცი!

ბავშვა მუშტრის თვალით გადახედა სამთავეს, ათეღიერა-ჩამოათვალღიერა და ვაშლი .. თვითონ შესჭამა.

- პაწია გოგონა ეკითხება დედას:
- დედილო, რა არის ანგელოზი!
- ანგელოზი შვილო... ეგ ფუფალის შვილია, ჩიტნია, რომელიც დაფრინავს ცოდვილთა შორის.
- თუ აგრეა, მაშ მამილო რად ეძახის ჩემს მასწავლებელ ქალს, ნუკას ანგელოზს!
- იმიტომ შვილო... იმიტომ, დედა ცოტათი შეშინა და ძლივს შეიმავრა თავი, იმიტომ შვილო, რომ ნუ მალე, ეხლავე გაფრინდება!...
- და მასწავლებელი ქალი მართლაც მალე გაფრინდა.

- ახალგაზდა ექიმი სინჯავს თავის კაბინეტში ახალ და ქალს, რომელსაც ზედა ტანის სამოსელი გახდილი ექიმმა ნებაუნებლიედ ტუჩი მიადო ქალის შნოიან გულმკერდში.
- რას შვრებით ექიმო?
- სიცხეს ვიკვლევ!
- მერე სიცხეს ტუჩებით იკვლევებ?
- დიახ... ტუჩებით და... ტერმომეტრითაც!..



მ რ ო ვ ი ნ ც ი ა

—:—

სამტრედია „ედემის“ ბაღი დარწმუნებულმა, რომ სიკვდილის შემდეგ ვერ ვინ მაღირსებს ედემის ნახვას, გადავწყვიტე ცოცხლათვე შევსულვიყავ და დამეთვალეირებინა „ედემის“. გავემგზავრე აღმოსავლეთით კოდორას ქუჩისკენ (ედემი მდებარეობს ამ მხრით). ჩემს გარდა მრავალი სხვებიც მიეურებოდა; ცოტა ხანს შემდეგ მივაღვეით ედემის „კარს“, სადაც დგას მაჩვენებელი ფარანი შევედით დაუბრკოლებრივად. გავიარ-გამოვიარე, ბაღი და-ათვალეირე და უნდა მოგახსენოთ, რომ მართლა ბაღი სანახავი ყოფილა ედემი; ხელეფნურათ რიგზე ამწყრივებული ხეები, ყვავილები, ხეხილები, და ბუნახი სწორედ ადამიანის სულს ახარებს. შიგ და-ინახე ედემის გამშენებული მთავარ-ანგელოზი „სიმონი“, რომელიც მოწყენით იდგა. როგორც აზოგადო წესია მივედი, თაყვანი ვეცი და ვკითხე მოწყენილობის მიზეზი. მიპასუხა: „შვილო, ეს არის ედემი გამშენებული, ჩემი ძალ ღონე აქ შევალე, ღვთის მოგხუცდი. მოსვენება მომიხდა და დროებით სველებათ დავაყენე ერთგულ ანგელოზები „კო-ლა“ და „იაგორი“, მაგენმა თავიანთ გემოზე მოაწეს-ბაღი, დაკრეს ბუკი-ნალარა და მოიწოდეს ადამიანები ედემში. ადამიანებიც ხომ ხედავ, შვი-ლო, მოაწყდა, მაგრამ ჩემსობას რომ მარტო ცხო-ბულებს შეეძლო შამოსვლა, ეხლა, მაგენის ხელ-ით, განურჩევლათ ცხონებულ წაწყმენდილისა, ყვე-ლა შამოდის და გამიუპატიურეს ბაღი, წაწყმენ-თლებმა“ სულ დაწყვიტეს ყვავილები და ხეხილთა-ბულები, ამბობენ მოსულები მალე პატარ-პატარა ანგელოზებსაც დასვამენო და თუ ეს კიდო გამარ-ტლდა, რით უნდა ვარჩინო ნორჩი ანგელოზები ედემში მოხუცებულმან. აი შვილო, მოწყენის მიზეზი“.

ეს სიტყვამ დამაფიქრა და დამაეჭვიანა. ამასობა-ზე მეც მომწყურდა, დავლიე პივო-ლიმონათი, და-წყალე სეფისკვერი, გადამახდევინეს ორ წილ ფასი და გამოვემშვიდობე ედემს. მინდა ცოცხლათვე მოგახვთსაც ვესტუმრო, შეიძლება იქ უფრო გულ-მამტივარი ადამიანები და რიგიანობა ვნახო და „ნიშნადური“ არ დამჭირდეს წაწყმენდილებთათვის.

„იანტე“.

ქ. თელავი. აქუჩი რამე—რუში.

ბევრი რამე არის აქ როსტომა საიტერესო, მაგრამ თელავზე უფრო ის არის, რომ შვილმა ისეთი ჯა-გამოიგონა, რომ ეხლა ჩვენი ცოლები სულ

იმაზე ფიქრობენ ერთი ჩქარა ფერი წაუსხლტეთ ჩვენ ქრმებს, რომ 500 მან. მივილოთ, მაგრამ ჩვენი ვანიჩკა რის ს.-დ. გაზეთის რედაქტორი ყოფი-თუ ასე მოიქცეოდა, და იმ 500 მან. ადვილად მის-ცემდა კასის წვერთ, ჩემ ჯიბეზე უფრო ახლოაო. ამნაირად მიიღო 4,000 მან. რალაც ათ თვეში და კიდევ ედავება, 1500 მან. მერგებაო თუ არ მის-ცეს აპრობს თურმე დაადოს „ხაპრეჩენიე“.

თუმცა ივ როსტომაშვილზე ბევრს ლაპარა-კობენ, მაგრამ თავის რწმენას არ უხვევს, და როგორც ს.-დემოკრატს უნდა პროლეტარიზაცია შეიტანოს ხალხში. ამისათვის იმით არა კმაყოფილდება რაც შექამა და კიდევ აარსებს კასას, და ამით ახალ მახეს უგებს უფიც ხალხს, მაგრამ იმედია ხალხი კარგად მიჰხვდა რა შვილია ახალ-მოდის მოღვაწე და ისე ადვილად ვეღარ მოტყუვდება.

თელავის „კასისტობა“ კი მეტად კარგი რამ ყოფილა ამ ქესატობაში. მაგ რაც მელოგინეთა კასის ტერტერამ ორსულთათვის სხვისი ფულით მუცელი გაისქელა, მის შემდეგ სტრაჟნიკები იცა-ვენ და არა თუ იცავენ, არამედ სანოვაცესაც იმათი თანხლებით ყიდულობს...

იქნება მკითხველმა მიკითხოს, სხვა თქვი, თო-რემ ივანეს შობილ ტერტერას თავის მამასთან ერთად დიდი ხანია ფარდა აეხადათო. კი. მართალია, მაგრამ აბა სხვაზე რას ვიტყვი.

ზავედენიაზე ერთხელ დაწერეს და მასწავლე-ბლები არა თუ კორესპონდენტის გადასახლებას აპრობდნენ, არამედ რედაქტორსაც თან მიყოლებას უქადიდნენ, ხოლო გაზეთს—დაკეტვას. ამისთვის უნდა ვთქოთ: შეგირდებს კერძოთ აღარავინ ამზა-დებს, ზაფხულშიაც კი, სწავლა ჩინებულად არის მოწყობილი, ნამეტნავად ჰყვავის სამშობლო ენა. არა უშავს რა ცეკვასაც, მაგალითათ „პადე-კალეს“, ეგ არის ზურნას არ აკვრინებენ, თორემ „უზუნ-დარასაც“ მალე ასწავლიდნენ....

სასულიერო სასწავლებლის პროფესორებს ამას წინედ სტუდენტებთან ერთად სურათი გადაუღიათ, რომელიც გამოფენილი იყო ბარკალაიას სურათების კალექციიაში, სურათში ყურადღებას იქცევს მამა-კაცებს შორის ერთი ქალი, რაც იმით ახსენეს, რომ ეს ფრანგული ენის მასწავლებელიაო. სასულიერო სასწავლებელი და უცხო ენა, შედავითნე და ფრან-გული ენა ეს ისეთივე საკვირველი შედარებაა, რო-გორც როსტომოვი და საზოგადო მოღვაწეობა, მაგრამ ფაქტია და ამისათვის ურიგდებით.

სამოქალაქო სასწავლებელზე არაფერს ვიტყუ-დი, მაგრამ გამიწყრებიან, ჩვენ უფრო მოწინავე ხალხნი ვართო. აქ როგორც ეტყობა უფრო გა-

რეგობას აქცევენ ყურადღებას. მაგ. როგორც გადმოგვცეს მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ (მასწავლელებიც მიეწვიათ სათათბირო ხმის უფლებით) მომავალ წლიდამ ფორმის შეცვლა: თავზე ჟოკე, შავი ხალათი თეთრი ღილებით და ქამრის ბადლათ ფუნჯებიანი გრეხილები, ლურჯი დიააგონალის შალვარი, ფეხსაცმლის შესახებ თავისუფლება ეძლევათ.

ამას გარდა კერძოთ მოუღაპარაკნიათ ამ ხაფხულ ჩამოსულ მოსწავლე ახალგაზდობას უხელმძღვანელონ ქალებს ვაჟებთან გაცნობაში და საქმიფო ადგილების მოძებნაში.

ამ უკანასკნელ გარემოებას იმითა ხსნიან, რომ თელავში სასეირნო ადგილი არ არის. ქალაქის ბაღში ისეთი მტვერია და ხეივნებიც ღორღით სავსე, რომ შეუძლებელია ისეირნო, თუ 3—4 ვერშოკის სიმაღლე ქუსლიან ფეხსაცმელი არა გაქვთ.

ქალაქის მამებიც ამობენ ეს ხომ ბულვარში სეირნობას არ მოიშლიან და თავი რაზე შევიწუხოთ, დეე შემოსავალი მისცენ მეჩემეებსაო.

უკაცრაოთ მამები ვთქვი. არა, მამინაცვლები მეტად გულკეთილი ხალხია. ვაი თუ რამე გავაკეთოთ და საწყენი გამოვიდეს რამე და რაზე ვაწყენინოთ ჩვენ ნათესავ-ნაცნობ მეგობართაო, სხვა არა იყოს რა, დახლი იზარალებსო. გაზეთებისაც აღარ გვეშინიან, ერთი თავ ჩაღუნული კორესპონდენტი გვყავს, რომელიც მალლა მაშინ აიხედავს როცა დაიქუხებს-თავზე არაფერი დამეცესო და ჩვენ ხომ ისე გვიფრთხილდება, როგორც თავის ბაბორჩან პალტოსაო.

თელავში ერთი საზოგადო დაწესებულება — კლუბი არსებობს, რომლის დევიზი ბანქო-ბილიარდი, ცეკვა, ბუფეტი და სკანდალი. საზაფხულოდ მოსალოდნელია ხშირი სკანდალები, რაიც გასართობ მასალად გამოადგებათ კლუბის წევრთ. ჯერ ჯერობით-კი გადაწყვეტილია კვირაში ორჯელ საცეკვაო საღამო, სადაც გიმნაზისტებს და სტუდენტებს მუქთად მიიწვევენ, ხოლო კადეტებს ჯილდოს დაუნიშნავენ, რათა ბევრი ბარიშები მოიზიდონ საცეკვაოთ. ცეკვას ხელმძღვანელობას გაუწევს მოთამაშე შაქრო.

ასეთი გეგმა არ მოსწონს ბულვარნი კომიტეტს, აპირობენ თურმე პროტესტის გამოცხადებას, ვინაიდან ხალხი რომ კლუბში გაკრიფონ, ბულვარში აღარავინ დარჩება და საქორაოთ აღარც მასალა გვექნებაო.

პაიაკი.

ხონი, რკინის გზა.

აქაურს ცნობილ მოღვაწეს ბ-ნ ივანე შარაში-

დეს განუზრახავს ერთი ფრიად სასარგებლო საქმის მოწყობა: ეს განლაგს რკინის გზის გაყვანა და ბა ხონიდან. ჯერ ჯერობით კრეფენ ადგილობრივ ვაჭრებიდან სტატისტიკურ ცნობებს, თუ რამდენი ფუთი საქონელი შემოდის ხონში. რკინის გზას გაიყვანს ამხანაგური კონცესია, რომელიც შესდგება პაიებისაგან. ვისურვებთ რომ ეს განზრახვა განზრახვით არ დარჩეს და მალე საქმედ იქცეს.

სახალხო უნივერსიტეტის ბედ-იღბალი: როგორც გავაგეთ გენერალ-გუბერნატორი ნებას აჩიძლევა ხონში სახალხო უნივერსიტეტის მოწყობაზე.

— ამ კვირაში აქ ლექცია უნდა წაეკითხა სვიმონ ქვარიანს. მაგრამ ეგსარხოსის მოკვლის გამო ნება არ დართეს. სასურველია რომ ლექცია შემდეგისათვის მაინც იქმნას წაკითხული.


— მესხიშვილის გასტროლი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ცნობა მოუვიდა რომ ამ დღეებში ჩამოვა და წარმოდგენებს გამართავს ვლ. მესხიშვილი ქუთათურ არტისტების მონაწილეობითაო.

ალგო.

სამტრედია, ეშმაკის მონათესავე მასწავლებელი.

ბ-ნო რედაქტორო, როგორც მახსოვს თქვენმა ცხარე „ნიშაღურმა“ ამ რამდენიმე ხნის წინდ კუდი მოაგლიჯა ხელზე გაცულლუტებულს ეშმაკს ალბად ამ გარემოებამ მას დაუკარგა მიუდგომლობის უნარი და ამით, რა თქმა უნდა, ზარალს გავძლევს ჩვენ სამტრედელებს. გთხოვთ და გემუდარებით ხელ ახლად ამოსცხოთ ნიშაღური, რომ სინდისში ჩავარდეს და მფარველობას ნუ უწევს ერთ აქაურს გასალახანებულს ვითომდა მასწავლებელს ზედამხედველს. რომ — ეს აგრეა ამას აქაური ეშმაკებიც მოწმობენ, რომელითაც არა ერთხელ უჩივლიათ ეშმაკეთის კომიტეტში ხსენებულ ზედამხედველის ოინებზე, მაგრამ მთავარ ეშმაკს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ესლა თქვენ იცით, თუ როგორ მოექცევით ეშმაკების და მის მონათესავე მასწავლებლის სინდისში ჩასაგდებათ.

საყვირი.



გამოცანა, ადვილად გამოსაცნობი

უ ჯ ი ა თ ს.

(მესტირული პასუხი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყალბის მქნელთ თევზთ საჭერად
წყალი ისე აამღვრიეს,
რომ თვით ჩვენი ესკულაპიც
სიყალბეში ჩაითრიეს!..

იგი თურმე თავაზაში
იმოდენად გულ-უხვია,
რომ „აფხანიკთ“ სასიამოდ
წმინდა გზიდან გადუხვია!..

ესკულაპობს, კრიტიკობს,
დრამატურგობს, ბოდავს რაებს. .
და ბოლო დროს თანამშრომლობს
ვიღაც ქუჩის მასხარაებს!-

შენთან შენი, სხვასთან სხვისი,
ხან მარქსისტობს, ხან „ესერობს“...
რადგან სული ტკბილი არის,
კოტაც არის მოპირფერობს!..

ხასიათის სისუსტე სჭირს
და ირყევა მალი-მალა,-
აქიმა და თავის თავს
ვერ იქნა ვერ უმკურნალა!

სილოვანი ჯაშუშობსო,-
ეგ საიდან! რა მოჩმახა?
თითონა სთქვა თავის თავად,
თუ სხვა ვინმემ უკარნახა?!

ამ დასკვნამდის ვით მივიღა?
თავის ცდითა და გონებით?..
თუ დამალულ გაიძვერა
სუფლორისა ჩავგონებით?!

ხალხის ნდობით რომ სარგებლობს,
დათვისტომობს მასთან ლალად,
ნუ თუ მიტომ დახურდავდა
სხვის მოსაქნევ იარაღად?!

აწ კი ვიცნობთ... გარეთ მშიშარს,
კბილ გაბასრულს შინაურზე
და უაზროდ მოცუნცრუკეს
„აფხანიკის“ ჭიანურზე!..

„ეშმაკების“ ბოროტ ენამ
მოხიბლა და გააკვირა
და საოცრად დაექანა
პირუკულმა, თავდა-ყირა!..

ვაგლახ!. ვწუხვარ, მენანები!.
იქნებ ბოლოს შენც ინანო
მაგ ჭუჭყისგან ძნელად მოხდეს,
რომ ოდესმე განებანო!..

გლვხი.

წავიკითხე ებისტოლე,
ხარბინიდან მონაწერი,
დასტურ ძლიერ გამიკვირდა,
გული მექნა ანაძგერი

შევკრთი—განა შემეშინდა,
გეფიცებით, სულაც არა!
გამიკვირდა, რადა სტრუობს
უჯიათი მეტიჩარა?

მიკვირს და ვერ გამიგია,
რად გაბერა ლანძღვის გულა;
აშორდიას მამბეზლარსა
ზურგს კიღია ცოდვის გულა...

თვითონ ფლიდი მამბეზლარი
სხვას ეძახის მამბეზლარსა,
მოიგონოს თვისი «საქმე»
რად აწუხებს ნეტავ სხვასა!..

დამცველადაც კი გამოდის—
„აბლოკატობს“ გაიძვერა,
მიზრუაშვილს შეუკურთხა...
მაინც გული ვერ იჯერა.

გურიიდან განდევნილი
გაიძვერა მელა—კულა
მლიდარს თავი შეაფარა,
ხარბინში რომ დაიბუღა.

დამქაშებიც კი იშოვნა
ვინც რომ იყო ხალხის მტერი,
„მოძრაობაც“ არა სწამდათ,
რადგან ქონდათ თული ბევრი...

როს ეწვიათ გაკოტრება,
სიღარიბე — ჯიბის მტერი,
იწყეს „სოციალისტობა“
და შეიქმნენ მთლად უმვერი..

დრო იყო რომ ჩვენ გვდევნიდნენ
ვითარ მებრძოლთ, ვითარ მუშებს...
დღეს კი ურცხვად თავი მოაქვთ
ამ ცრუ ესდევთ, მარქსის ბუშებს..

ეს სოფელი დასტურ ჭრელი,
ცვალეზადი რამ ყოფილა;
მართლის თქმა და სწორი სიტყვა
უჯიათგან დაგმოზილა...

რაღა გვეთქმის იმის მეტი—
დროს მივანდობთ ყველაფერსა.
მულამ აღჩუ არ მოუვა
მატყუარას,—ხალხის მტერსა!

ვ—კ—ძე

ს ა ლ ე ი ს ო ლ

ილია ჭავჭავაძის ფონდის შესახებ.

Sonnez, sonnez toujours!

„ნიშადურის“ საახალწლო ნომერში ჩვენი დაუღალავი და მცხოვანი საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ილიას ფონდის შესახებ სხვათა შორის სწერდა: «ყველა მოვლოდა, რომ სააზნაურო ბანკის მოსამსახურენი დაუყოვნებლივ გამოიღებდნენ ფულს ილიას ფონდისათვის, ვალად დაიდებდნენ ეხანათ ყოველ წლივ განსაზღვრული პროცენტისიული პროცენტი თავის ჯამაგირისა და ამით კეთილს მისაბამს მაგალითს უჩვენებდნენ მთელს ქართველობას. სავალალოდ მოხდა სრულიად წინააღმდეგი, ბანკის კორპორაციამ უჩვენა მაგალითი გულგრილობისა, უმადურობისა და ამით ცივი წყალი გადასხა საზოგადოების მისწრაფებასა. დღემდინ ამ კორპორაციას კაპიკი არ შეუნახავს ილიას ფონდისათვის... ყველაზე მეტად მე აქ მაოცებს ილიას მოადგილის ბ-ნ ანტონ ფურცელაძის მოქმედება. მე წინად დარწმუნებული ვიყავი, რომ მასში მოიპოვებოდა ელემენტი რაინდობისა, ილიას მოკვლის შემდეგ კი მისი საქციელი ანტირაიდული იყო და არის...»

ამას სწერდა ბ-ნი იაკობ ამ ნახევარი წლის წინად; მას შემდეგ კარგა ბლომა დრომ განვლო... ბანკის კორპორაციამ დივიდენტიც კი გაინაწილა და ილიას ფონდისათვის არც ერთი კაპიკი არავის არ შეუწირავს იმ ბანკის კორპორაციიდან, რომლის დღევანდელი უზრუნველი ყოფა უმთავრესად უნდა მიეწეროს ილია ჭავჭავაძის დიადობას. უეჭველია, „უმადურებმა მთლად დაივიწყეს დიდი ღვაწლი ილიასი და ვიწრო ეგოიზმით თავი ისახელეს“!..

ვინ ამბობს, ყოველივე შემოწირულობა ნება ყოფლობითი უნდა იყოს და ვერც ვერავინ ძალას დაატანს კაცს ვინდა თუ არა წლილი გაიღე საკეთილო და საშვილის-შვილო საქმეზეო; კაცია და გუნებაო - იტყვიან. მაგრამ ხშირად არის ხოლმე ისეთი გარემოება და პირობები, როდესაც შეუძლებელია კაცი გაჩუმდეს ზოგიერთ ყოველივე გრძნობა გამოფიტულ ეგოისტებზე. სწორედ ასეთს განსაკუთრებულ პირობებსა და გარემოებაში იმყოფება ბანკში მსახურთა კორპორაცია და განსაკუთრებით კი დღევანდელი მოთავე ბანკისა ანტონ ფურცელაძე

ყველა, ყველა მაგრამ ანტ. ფურცელაძეს არასგზით არ ეპატიება ის სამარცხვინო ეგოიზმი და ყოვლად დასაგმობი ინდეფერენტიზმი, რომელიც მან ასე აშკარად და დაურიდებლად გამოიჩინა ილია

ჭავჭავაძის სახელის ფონდის შესახებ. ანტონ ფურცელაძის აწინდელი ყოფა, პირველ ნაბიჯიდან დღევანდლამდე თავით ფეხამდე, ილია ჭავჭავაძის სულგრძელობის ნაყოფია. ანტონ ფურცელაძეს სიხარადაც არ დაესიზმრებოდა ის „ზედაპარი“ ცხოვრებია, რომელზედც იგი დღეს ფუფუნებს ილია ჭავჭავაძეს რომ ყურით არ ეწინა იგი და სრულ არარაობის და დავიწყებისა უფსკრულიდან არ ამოეტევტივტივებინა...

ამიტომ ჩვენ სრულებით ვერ გავგივია და ვერცა როდისმე გავიგებთ ბ-ნ ფურცელაძის საქციელი ილიას ფონდის შესახებ. ან. ფურცელაძეს არამთუ თვითონ, სხვებისთვის ინიციატივა და დემონსტრაციული მაგალითი უნდა მიეცა, როგორც ყველაზე უფროსს ბანკში და ყველაზე უფრო მეტად დავალებულს დიდებულ ილიასაგან, რომ ხსენებულ ფონდისათვის ბანკის კორპორაციას კოტათი მინიწვლილი გაეღო შედარებით იმ დიადი და ქარსჯამაგირებთან, რომელიც ეძლევათ იმ ბანკიდან რომელიც, ვიმეორებთ, დაფუძნებული, აღზრდილი და განმტკიცებულია მხოლოდ და თვინიერ ილია მადლიანის ღვაწლით. *)

მერე ავრე მოიქცა ბ-ნი ფურცელაძე? სულ არა. იგი პირიქით იღუმალის ზრახვითა ჩუმად ფარულად თითქოს ხელს უშლის ამ საშვილისაგან ღონდის გაძლიერებას... რით აიხსნება ასეთი უკაცურობა, უმადურობა? მხოლოდ შურით!

ზოგიერთი მჩატე სულდგმულნი, განებით ლატაქსულმოკლენი ზე გულღვარძლიანი არსები ყოველთვის რაღაც ორგანიულს შიშს და შურს გრძნობენ ხოლმე დიდ ბუნებოვანი ადამიანებისადმი. არიან ისეთი უბედურნი და საბრალონი, რომელიც ვერ შერგებიან თავიანთ უნიჭობას უსაქმურობას და არარაობასა და უნებლიეთ სძულთ დიდებული აზროლეთიური ნიჭი და სახელოვანი საქმენი თავიანთ მოამაგე და კეთილის მყოფელთა.

მადლობის გრძნობა ალტრუისტული თვისება ადამიანისა, ხოლო უმადურობა — ეგოისტური. თუ კაცს კაცური გარდა სახისა, კუჭისა ზე მადის მეტა არა გააჩნია რა, იგი განხორციელებული ეგოიზმი და არარაობაა.

ყველა გრძნობის დაფარვა და დამალვა შეუძლებელია გარდა შურისა. ამ გრძნობას ვერავითარ თვალთმაქცობა და თეთრი კბილი ვერ შეზღუდვთ შავი გული ჯაგრით შემოსილი ყოველთვის თი იჩენს ხოლმე

*) სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დამაფასებელ კომისიას უკვე დაუდგენია თავისი წვლილის გაღება ილია ფონდისათვის. ნეტა რას იტყვიან ბანკის სხვა ორგანოები!

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ საგანს ასე არ ჩავაფუძნებთ და კიდევ ბევრჯერ დავუბრუნდებით და სრულ ამიტომ დავიწყეთ ეს წერილი ფრანგულის სახით: *sonnez, sonnez toujours*—დაჰკარით, დაჰკარით ბუკი ყოველთვის!

ახირებული პრეტენზია.

Ce non e vero e ben trovato.

უქვევლია ყველამ უწყის, თუ რა შესანიშნავად მარად დაუფიწყარის მეთაურ წერილებით მასპინძლდნენ ჩვენებური ესდევური გაზეთები ბერწყალი № 5 და *Наша Жизнь* № 5) მკითხველებს 28 მაისის შემთხვევის გამო.

ვისაც კი ოდნავ მაინც მოეპოვებოდა ზიზღის ნიშნები ყოველივე უკულმართობისა და უბადრუკობისადმი, ყველამ ერთხმად დაჰგმო და დაჰქოლა ის „მური“ სულის კვეთება, რომელიც ეგეთის მომადლებლის ურცხოებით დაისტამბა ორს ხსენებულ გაზეთებში, რომელთაც, სხვები თუ არა, მათონ მაინც საველიან თავს პროგრესიულ სოციალისტურ ორგანოებად.

თუ ეგზარხოსის ნიკონის მოკვლამ ააღელვა მოგადობა, ერთი ათად უფრო მეტად ღრმად და უფრო ალაშფოთა საზოგადოების ყველა საუკეთესო და უმრავლესი ნაწილი, განურჩევლად გვარობისა, *Голов Кавказа*-ს „საპოგრომო“ იღლებმა.

ადგილი წარმოსადგენია რას იგრძნობდნენ ყველანი, როდესაც ხსენებულ გაზეთს „ხმა შეუტყულებს“ ჩვენებურმა „სოციალისტურმა“ გაზეთებმა. სოციალისტურ მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა ეს მწუხარება მით უფრო საგრძნობელი, მწვავე შეურაცხყოფელი იყო, რომ „დრო და გარემოება“ იმ დროს ხელს უშლიდა ვისმე ხმა ამოედლო „ხამობის“ აღსაბეჭდავად..

განვლო ორმა კვირამ, ვნებათა ღელვა ცოტა მიუყუჩდა და აი „ჩვენი კვალი“ (№ 3) შეძლება და გვარად გამოეხმაურა თავიანთ უკულმართებანიკებს“... კრძალვით და რიდით დასცინა „სოციალისტებს“... რა თქმა უნდა, ეს არ უნდა და იუკადრისა შუბლ გარეცხილმა დელოვიამ და „ნაპერწყლის“ № 12 ში თავის მართების მოყვა, მაგრამ ვი და ვუი ამისთანა მართებისას!

თურმე, ნუ იტყვი, იმათ სრულებით ის არ ჰქონდა აზრად, რაც დასწერეს რაც ყველამ ერთხანის დღომლობით გაიგო!.. ალბად დაავიწყდათ რულიანდაზა: *написанного ножомъ, не выйдешь топоромъ*. საკვირველია აგრეთვე მეორე

პოზიცია დემაგოგებისა — ორ — ნაირი მკითხველები ყოლიათ გაზეთებსა: „მეგობარი მკითხველი“ და „მტერი-მკითხველი“. თავის მართლებაც ასევე უნდა! როსკიბი რა არის, იმასაც მეტი სინიღისი და შუბლი მოეპოება. რაები არ მიკიბ-მოკიბეს, რას არ მოებლაუქენ, ოლონდ ფონს გასულიყვენ. აი ამაზეა სწორედ ნათქვამი იტალიური თქმულება *ce non e vero e ben trovato* — უ ეგ მართალი არ არის, ყოველ შემთხვევაში კარგად მოგონილიაო.

მაგრამ მაგარი ის არის, ყალობა სოციალისტებო, რომ თქვენს პრავოკატურულს და შავრაზმულ წერილებს, რაც უნდა ახსნა მოუგონოთ, არა გამოვა რა და თავის მართლებაც ამაოა, რადგან „ვინც ქარსა სთესავს უქვევლად ქარიშხალს მოიმკის“.

ჰო და ასე!

მონადირე.

იმის შესახებ...

აჯანყებულ სოფლის დასამშვიდებლად გაემართა ერთი გულკეთილ ადმინისტრატორთაგანი. მან შეტყობა გლეხობა და მამაშვილურის დარიგებით მიმართა მათ:

- ისა?..
- როგორ? — იკითხა ადმინისტრატორმა.
- ..ის ისევე..
- ვინ ის? რას ამბობ?!.
- იმაზე მოგახსენებთ..
- ვიზედ, არ იტყვი?!
- აი, იმის შესახებ..
- ვის შესახებ შე რეგვენო, შენა!
- ჰმმ... მაშ ის ისევე თავის ადგილზედ რჩება!...

— რაო?! — შეჭლირიალა ადმინისტრატორმა — წაუთავაზეთ ამ რეგვენს ზურგზედ მათრახები! — ბრძანა მან.

გლეხი მიწაზედ წამოაქციეს და მათრახებით რბილი ადგილები აუწვეს..

გლეხი ბოლოს წამოდგა, ტანისამოსი გაისწორა და გულ-ამოსკვნით თავისთვის წაიდუღუნა:

— ეჰ! მე ეს წინადვე ვიცოდი! — სანამ ის თავის ადგილზედ დარჩება — ჩვენ არაროდეს არ ავგდებთ მათრახით ცემა!..

ჯაფარა.





ვანკა-სტანკა.

გინდ დაეცეს რა ზომ მძიმედ,
 გადაჭორდეს ყირამალა;
 მაშინათვე სდგება ზეზე,
 ასეთი აქვს ამ „გმირს“ ძალა.
 ძირი რომ აქვს მძიმე-სავსე,
 დაფშუტული თავის ქალა,
 და აქ რაა საკვირველი
 თუ რომ ბოლომ თავი სძალა?

გრი—გრი.

ავადმყოფს მეგობარს

(ვუძღვნი მიზა ხელთუფლიშვილის ხსოვნას)

გულით მიყვარდი, მეგობარო... დღესაც მი
 ყვარხარ,
 მისთვის რომ უგნურს და უფერულს ბრბოს არ მა-
 გონებ,
 მისთვის რომ ნათლად რჩეულთ ბეჭდით აღნი-
 შნულიხარ,
 მისთვის რომ შენთან დავიწყებულს ზეცას ვიხსენებ..
 დამიუძღურდი, მეგობარო, გული ძლივს გი-
 ცემს;
 შენ მაგონებ დევს გულ-საკლავად ხელ-ფეხ და-
 კრილსა,



მივრბი, მივფრინავ უგზოუკვლოდ, რა მენადღებმა
 თუ ფუტი არის ჩემი „ღვაწლი“, კუჭი რომ ძღება
 ან რას მიქვიან თვისტომობა, ვიყო მადლარი,
 შუბლგარეცხილმა თვალახვევით განვლო საზღვარი,
 დაე გამკიცხონ, ამ ჩემს ფეხებს, მე ხეჩო მყენ-
 დედამ რომ შეილი გამოზარდოს Speransa-ს გვა-

მასანდრე

ოდესღაც ძლიერს, ზღვის და ხმელეთის თავ
 დამცემს,
 აწ კი ულონოს, მტრის სათრევად მინდვრად
 ბულსა.
 გული მიკვდება, მაგრამ არა! არ ვპ
 იმედს:—
 განა თვის პირმშოს, თვის რჩეულს შეილს გა
 რავს ზენა?!
 მოჯობინდები, ჩემო დეეო, შეისხამ ხელ-ფეხს
 კვლავ იწყებ გრგვინვას და ამ გრგვინვას იგრძ
 ქვეყანა.
 ილ. პონტელი.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.